დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ,,ფარნავაზი“

შეფასების თარიღ(ებ)ი: 05 და 06 აპრილი, 2022წ.

დასკვნის წარდგენის თარიღი: 27 აპრილი, 2022წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს „ფარნავაზი“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	246952427

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ქობულეთი
იურიდიული მისამართი	ქალაქი ქობულეთი - დ. აღმაშენებლის გამზირი N572, დ. აღმაშენებლის გამზირი N572ა, რუსთაველის ქუჩა N333ე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ქობულეთი - დ. აღმაშენებლის გამზირი N572, დ. აღმაშენებლის გამზირი N572ა, რუსთაველის ქუჩა N333ე
საფოსტო ინდექსი	6200
დაწესებულების ვებ-გვერდი	https://farnavazi.edu.ge/
დაწესებულების ელ-ფოსტა	farnavazi7705@mail.ru
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995) 599572568
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	მადონა ოქროპირიძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	(+995) 599572568
ელ-ფოსტა	Madona19671@gmail.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის, კახაბერ ერაძის 2022 წლის 23 თებერვლის ბრძანება MES 5 22 0000186885 - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ფარნავაზში ვიზიტის შესახებ“.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	05 და 06 აპრილი, 2022წ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ლელა ჯაში
წევრი (სახელი, გვარი)	მარინე ჯანაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.6. (გ)*	*სკოლამ წარმოადგინოს სკოლის ექთნის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საფუძველი: საქართველოს განათლებისა და*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ, 2022 წლის 21 მარტი - „ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“).
	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.2.*	*სკოლის 2 (ორი) უსტატუსო მასწავლებელთან დაკავშირებით, რომლებსაც დოკუმენტაციის საფუძველზე უდასტურდება უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობა, მიემართოს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს - შესაბამისი სტატუსის მინიჭების მოთხოვნით;*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	3.5.	*სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარები ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია შინაგანაწესის გარდა, ცალკე დოკუმენტშიც გაიწეროს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარების დებულება/გეგმა.*

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	სკოლა ,,ფარნავაზი" ქართული ტრადიციების მიმდევარია. ამის ნათელი მაგალითია სკოლის მიერ ჩატარებული აქტივობები, რომლებიც გულისხმობს დავიწყებული აჭარული კერძების მომზადების დემონსტრირებას სკოლის ადმინისტრაციის და პედაგოგების მხრიდან და თანამონაწილეობას მოსწავლეთა მხრიდან. აღნიშნული არაფორმალური აქტივობის სარგებელი გარდა პირდაპირი დანიშნულებისა, არის სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურის განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯები და ამავდროულად, სახალისოს და საინტერესოს ხდის სასკოლო ცხოვრებას.

დაწესებულების მისია	მოამზადოს აქტიური, კრიტიკულად მოაზროვნე, ცოდნაზე ორიენტირებული, პასუხისმგებლობით აღსავსე, ესთეტიკურად განვითარებული, ტოლერანტი, შემოქმედი, ინფორმირებული და ამ ინფორმაციის ადეკვატურად გამოყენების მქონე, ბუნებრივი გარემოს დამცველი, კანონმორჩილი, კონკურენტუნარიანი, საკუთარი შესაძლებლობების მუდმივად განვითარების შემძლე, საქართველოს ეროვნული ინტერესების მატარებელი პიროვნება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 253	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ფარნავაზის“ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე N1, 01.09.2021წ. განხილული და დამტკიცებული იქნა სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. აღნიშნული სხდომის ოქმის საფუძველზე გამოიცა ბრძანება N1/37გ, 01.09.2021წ. - ,,სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დგინდება, რომ სკოლამ გაითვალისწინა მოსწავლეების და მშობლების სურვილი - სკოლაში განხორციელებულიყო პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენა) საათების მატება. უცხოური ენის მასწავლებელთა რეკომენდაციით, ინგლისური ენის გაკვეთილები საგაკვეთილო ცხრილში დაემატა ყოველდღე (I-XII კლასებში კვირეული საათობრივი დატვირთვა გაიზარდა 2-დან - 5 საათის ოდენობით). მათ შორის, პირველი კლასის პირველ სემესტრშიც (როგორც ცნობილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის'' სტანდარტული საათობრივი ბადის მიხედვით, პირველი კლასის პირველ სემესტრში უცხოური ენა არ ისწავლება). როგორც ირკვევა, სკოლამ არ გაითვალისწინა ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული რეგულაცია, რომელიც ავალდებულებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას საათობრივი ბადის III მოდელის შედგენის შემთხვევაში წარადგინოს შესაბამისი დასაბუთება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პოზიციასაც. კერძოდ, სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ვინაიდან, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სწავლება ხორციელდება სკოლაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მათ არ ჩათვალეს საჭიროდ განხორციელებულიყო ზემოაღნიშნული შეთანხმების პროცედურები. ექსპერტთა არგუმენტაციის საფუძველზე (მაგალითისთვის, I კლასის პირველ სემესტრში უცხოური ენის დამატება, რასაც მოჰყვა საათობრივი დატვირთვის გაზრდა 5 საათით - საყურადღებო საკითხია), გათვალისწინებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაცია და სკოლამ ვიზიტის მიმდინარეობისას შუამდგომლობის მოთხოვნით, წერილით N4-24, 05.04.2022წ., მიმართა ქალაქ ქობულეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს (რესურსცენტრის წერილი განათლების და მეცნიერების სამინისტროში N351048, 5.04.2022წ.), - 2021-2022 სასწავლო წლის საათობრივი ბადის შეთანხმების თაობაზე. შპს ,,ფარნავაზის“ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილები შესაბამისობაშია ესგ-ს მოთხოვნებთან. კერძოდ, **სკოლის მისია** - ითვალისწინებს მოსწავლეების განვითარებას და აღჭურვას იმ უნარ-ჩვევებით და საბაზისო ცოდნით, რომელიც საშუალებას მისცემს მათ მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. **2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი** - მოიცავს სწავლის დაწყებასთან, სემესტრების ხანგრძლივობასთან, არდადეგებთან და უქმე დღეებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და შესაბამისობაშია საჯარო სკოლებისათვის განსაზღვრულ სტანდარტულ თარიღებთან. **დღის რეჟიმი** - კლასების მიხედვით, გაკვეთილების ხანგრძლივობა პირველი კლასისთვის შეადგენს 35 წუთს, მეორე კლასისთვის - 40 წუთს და III-XII კლასებისთვის - 45 წუთს. **დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმაც** სრულ თანხვედრაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 9 სექტემბერის №95/ნ ბრძანების ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისა და მიღებული შედეგების შეფასების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით წარმოდგენილ სარეკომენდაციო მონაცემებთან (გაკვეთილების ხანგრძლივობა და ოდენობა). აღსანიშნავია, რომ სკოლაში წარმატებით ხორციელდებოდა/ხორციელდება ჰიბრიდული სწავლებაც. კერძოდ, იმ მოსწავლეებს, რომლებიც გარკვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიზეზების გამო საჭიროებენ დისტანციურ სწავლებას, სკოლა გაკვეთილების დასრულების შემდგომ დისტანციური ცხრილის შესაბამისად სთავაზობს გაკვეთილებს, რაც სკოლის მხრიდან დამატებით ფინანსურ მხარდაჭერას მოითხოვს. აღნიშნულთან დაკავშირებით (ინტერვიუირებისას), მოსწავლეები და მათი მშობლები მადლიერებას გამოხატავენ სკოლის დირექციის მიმართ. **მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესი** - მოიცავს შეფასების მიზნებისა და ამოცანების, შეფასების ტიპების (განმსაზღვრელი და განმავითარებელი), ქულების დაანგარიშების წესის, შეფასების კომპონენტების, მათ შორის შემაჯამებელი დავალებების შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს. შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა ემთხვევა ესგ-თი განსაზღვრულ მინიმალურ ოდენობას. სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია მონაცემების კლასის და საფეხურის დაძლევის შესახებ, აგრეთვე, ინფორმაცია სკოლის მიერ ჩასატარებელი გამოცდების თაობაზე. კერძოდ, მონაცემები წლიური, სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნატის წესით ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის მიერ განსაზღვრულია წლიური გამოცდების ჩატარება X-XII კლასებში. კერძოდ, იგეგმება გამოცდები მათემატიკაში და ინგლისური ენაში, ამასთანავე, წლიური გამოცდის ქულას არ ექნება გავლენა მოსწავლის წლიურ ნიშანზე. საშემოდგომო გამოცდების ჩატარების ვადებთან დაკავშირებით, სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმაში გამოვლინდა უზუსტობა, კერძოდ, საშემოდგომო გამოცდების ჩატარების ვადად განისაზღვრა 1-10 სექტემბრის პერიოდი (როგორც ცნობილია, ეროვნული სასწავლო გეგმის 36-ე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, საშემოდგომო გამოცდების ჩატარების ვადად განსაზღვრულია სასწავლო წლის დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე პერიოდი. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2022 წლის სასწავლო პროცესი განახლდება 15 სექტემბერს). საშემოდგომო გამოცდების თარიღთან დაკავშირებული რეკომენდაცია გაზიარებული იქნა სკოლის ადმინისტრაციის მიერ. **საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი** - მათ შორის, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმის დანართად (N5).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში ფუნქციონირებს 6 (ექვსი) საგნობრივი კათედრა -კერძოდ, 1. ქართული ენის და ლიტერატურის კათედრა; 2. მათემატიკა და კომპიუტერული ტექნოლოგიები; 3. უცხოური ენების; 4. საზოგადოებრივი მეცნიერებების; 5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების; 6. ესთეტიკური აღზრდის, ფიზიკური აღზრდის და სპორტის. რაც შეეხება დაწყებითი კლასების კათედრას, იგი სკოლაში არ ფუნქციონირებს, ვინაიდან, სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლაში დაწყებით საფეხურზე საგნობრივი სწავლება ხორციელდება და შესაბამისად, ცალკე კათედრის საჭიროება არ არის გამოკვეთილი. სკოლის მიერ დამატებით მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია კათედრების დებულება დისციპლინების მიხედვით, კათედრების პორტფოლიოს შემადგენელი დოკუმენტაცია, შესაბამისი ოქმები, სადაც განხილულ საკითხთა ნუსხა სწავლა-სწავლების პროცესის განვითარებას და გაუმჯობესებას ემსახურება - შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები, კათედრების თავმჯდომარეების ანგარიშები და ა.შ. აღნიშნული მონაცემების დამუშავების და კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ შპს ,,ფარნავაზში“ კათედრების მუშაობა ეფექტური და მიზნობრივია. **სადამრიგებლო პროგრამა** - შპს ,,ფარნავაზის“ დამრიგებლის/კლასის კურატორის ფუნქციები და მუშაობის პრინციპები სასკოლო სასწავლო გეგმაშია წარმოდგენილი. სადამრიგებლო საათის პროგრამა სკოლაში ეფექტურად ხორციელდება. ინტერვიუირებისას მასწავლებლები და მოსწავლეები საუბრობენ მრავალფეროვან თემატიკაზე, რომელიც შეთავაზებულია სადამრიგებლო საათზე ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და მათ, როგორც პრევენციული, ისე საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი დანიშნულება აქვთ. სასკოლო-სასწავლო გეგმით მოწოდებული ინფორმაცია **ინკლუზიური განათლების** შესახებ, თანდართული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშით, რომელიც დასკვნის შესაბამის სტანდარტის მიხედვით განხილულ იქნება ქვემოთ (ქვესტანდარტი 1.3).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება - სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს შემდეგ წრეებს: 1. გახანგრძლივებული სწავლების წრე (I-IV კლასების მოსწავლეებისთვის); 2. თანამედრვე ცეკვების წრე -(I-IV კლასების მოსწავლეებისთვის); 3. ინგლისური ენების წრე ,,English Corner"; 4. ისტორიის წრე ,,ფარნავაზი"; 5. ბიოლოგიის წრე - ,,ყველაფერი ადამიანის სხეულის შესახებ" - (VII-VIII კლასების მოსწავლეებისთვის); ეროვნული სასწავლო გეგმის 21 მუხლის, მე-4 პუნქტის, ,,ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში, რიგ შემთხვევებში, არ ჰქონდა წარმოდგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურების საჭიროების დასაბუთება და დეტალური აღწერილობა. თუმცა, სკოლამ დამატებით წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, სადაც სრულყოფილად არის აღწერილი მომსახურების მიზნები, პროგრამა, რესურსები და ა.შ. **<u>დასკვნის პროექტის საფუძველზე, სკოლამ არგუმენტირებული წერილით N4-38, 20.04.2022წ. მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელიც გადმოეგზავნათ ექსპერტებს (ცენტრის კორესპონდენცია - MES 4 22 0000417175, 26.04.2022წ.). როგორც გაირკვა, სკოლის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შეთანხმებულ იქნა სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის საათობრივი ბადე (სამინისტროს წერილი ქობულეთის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს MES9220000375294, 11.04.2022წ.)</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა, შესაბამისი დანართებით; შპს ,,ფარნავაზის“ და ქალაქ ქობულეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის კორესპონდენცია - საათობრივი ბადის შეთანხმების თაობაზე; ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი საგანმანათლებლო მომსახურების (წრეები) საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია 2021-2022 სასწავლო წლის საათობრივი ბადის შეთანხმების თაობაზე.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ფარნავაზში“ დაწყებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის და განხორციელების პროცესი. სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ვხვდებით თემატურ მატრიცებს, დისციპლინების მიხედვით წარმოდგენილ კომპლექსური დავალებების ნიმუშებს, კომპლექსური შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებს. სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლაში 2020-2021 სასწავლო წლიდან დაიწყო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცედურები და მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა და გამოწვევებისა, პროცესების შეფერხება არ განხორციელებულა. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით განხილულ იქნა მე-3 კლასის ბუნებისმეტყველების კომპლექსური დავალება და მისი ანალიზის ფორმა - კერძოდ, დავალებაში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, თემების მიხედვით მისაღწევი შედეგები, კომპლექსური დავალების პირობის მოკლე აღწერა და ჩატარების ვადები, კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები, კომპლექსური დავალებების შედეგების გასაუმჯობესებლად დაგეგმილი პრევენციული ნაბიჯები და ა.შ. ვინაიდან, შპს ,,ფარნავაზი“ სთავაზობს მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ყველა დისციპლინას და გარდა ამისა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დამატებით საგანმანათლებლო მომსახურეობას წრეების ფორმით და ამავდროულად, მოსწავლეთა სასწავლო შედეგები შესაბამისობაშია ესგ-თი გათვალისწინებულ იმ მიღწევებთან, რომელთაც მოსწავლემ უნდა მიაღწიოს კონკრეტულ საგანში ან/და საგნობრივ ჯგუფში სასწავლო წლისა თუ საფეხურის ბოლოს - სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; თემატური მატრიცები, კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი კომპლექსური დავალების ანალიზის ფორმები; გასაუბრება სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სასკოლო-სასწავლო გეგმით. კერძოდ, სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ინფორმაცია იმ მექანიზმების შესახებ, რომელიც ადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლისათვის სტატუსის მინიჭების და სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროებას. ინდივიდუალურ გეგმის შედგენასთან დაკავშირებული ინფორმაციაც დეტალურად არის გაწერილი. სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ - ჯგუფის ვალდებულებები, შემადგენლობა და ფუნქციები ხელს შეუწყობს სსსმ მოსწავლისათვის განკუთვნილი გეგმის განხორციელებას. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სსსმ მოსწავლეების შეფასება ხორციელდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმიერი სხვა მოსწავლე. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია მოსწავლე გადავიდეს შემდეგ კლასში, თუ იგი არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს. გარდა ამისა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესაძლებელია წლიური შეფასება გამოანგარიშებულ იქნას სემესტრული ნიშნის საფუძველზეც. დეტალურია ინფორმაცია სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შესახებაც. სასკოლო-სასწავლო გეგმაში წარმოდგენილის ინფორმაცია იმ მექანიზმების თაობაზე, რაც საშუალებას მისცემს სსსმ მოსწავლეს სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს. საყურადღებოა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშიც, რომელიც აღწერს მოსწავლის ცოდნის აქტუალურ დონეებს, მათ შორის ცნებებს და მათთან დაკავშირებული მკვიდრ წარმოდგენებს, კომპლექსური დავალებების მოკლევადიანი მიზნებს, დაგეგმილ აქტივობებს და ა.შ. ამ ეტაპზე, სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე არ ირიცხება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო სასწავლო გეგმა;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. I-IV კლასებში და V კლასის პირველ სემესტრში შეფასება არ ხორციელდება ქულებით. მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით: მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები), მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები), შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები). I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. საგნობრივ კათედრებზე ხორციელდება შეფასების რუბრიკების შემუშავება. ინტერვიუირებისას სკოლის მასწავლებლები ადასტურებენ, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების რუბრიკების შედგენის პროცესში. იგივე კითხვით ექსპერტებმა მიმართეს მოსწავლეებსაც, რომლებმაც გაიხსენებ კონკრეტული მაგალითები, რომლის დროსაც მასწავლებლებთან ერთად ხორციელდებოდა რუბრიკების განხილვა და მათი მოსაზრებები გარკვეულწილად გათვალისწინებულ იქნა. რუბრიკები ხელმისაწვდომია სკოლის ვებ. გვერდზეც. მოსწავლეთა შედეგების განხილვა კათედრებზე ინტენსიურად მიმდინარეობს. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები იძლევა საშუალებას გამოიკვეთოს ის გამოწვევები, რომლის წინაშეც თითოეული კლასი ან/და მოსწავლეა. შემდგომში განსახორციელებელი ინტერვენციების ნუსხაც, სწორედ სამუშაო პროცესში იკვეთება. სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, კერძოდ, ,,EduPage,,.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სასკოლო-სასწავლო გეგმა; კათედრების პორტფოლიოები, სადაც შეფასების რუბრიკებია წარმოდგენილი; კათედრის სხდომის ოქმები; სკოლის ვებ.გვერდი; გასაუბრება სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან; ელექტრონული ჟურნალის ,,EduPage“ - მომსახურების ხელშეკრულება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესს სკოლის მიერ შედგენილი რამდენიმე დოკუმენტი არეგულირებს. კომუნიკაციის ძირითადი სტრატეგია წარმოდგენილია ,,მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობის დებულებაში“ , სადაც გაწერილია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი ა.შ.

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტის თანახმად, სკოლის საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება მშობელთა კრებებზე კლასის კურატორის/დამრიგებლის მეშვეობით. თითოეულ კლასში მშობელთა სავალდებულო კრება ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში და ყოველი სემესტრის ბოლოს. მშობელთა კრებისათვის ყველა კურატორი/დამრიგებელი ინდივიდუალურ დღის წესრიგს ამზადებს, რომელიც სკოლის დირექციასთან უნდა შეათანხმოს და ა.შ. შპს ,,ფარნავაზის“ სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად არის წარმოდგენილი ინფორმაცია კლასის დამრიგებლის/კურატორის შესახებ, რომელი ფუნქციებში შედის რეგულარულად (მინიმუმ თვეში ეთხელ), მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხების და წარმატებების შესახებ. მშობლები საუბარში ადასტურებენ, რომ ელექტრონული ჟურნალის სკოლაში არსებული პლატფორმა, საშუალებას აძლევთ მათ ყოველდღიურ რეჟიმში გაეცნონ თავიანთი შვილების შესახებ მათთვის საჭირო ინფორმაციას. შპს ,,ფარნავაზის“ დებულებაში, რომლითაც წარმოდგენილია სკოლაში დასაქმებული პირების თანამდებობრივი ინსტრუქციები, ასევე, წარმოდგენილია კურატორთა უფლება-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესითაც განსაზღვრულია მშობელთა სკოლაში ვიზიტის დღეები. აღნიშნული რეგულაციები არ ვრცელდება სსსმ მოსწავლის შემთხვევაში, როდესაც კანონიერ წარმომადგენელს საშუალება აქვს საჭიროებისამებრ, ნებისმიერ დროს განახორციელოს ვიზიტი სკოლაში. ექსპერტთა ყურადღება მიიქცია კითხვარმა, რომელიც შეთავაზებულ იქნა დაწყებითი საფეხურის მშობლებისათვის. კვლევის მიზანი იყო - ,,მშობლებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება დაწყებით საფეხურზე ქულების ნაცვლად, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლის სიტყვიერი კომენტარებით შეფასების შესახებ“. ექსპერტები დაინტერესდნენ, როგორ გამოიყენებდა სკოლა კვლევის შედეგებს და მშობელთა დამოკიდებულება (განურჩევლად პოზიციისა), როგორ აისახებოდა სკოლის განვითარებაზე. სკოლის დირექციის განმარტებით, მათი მიზანი იყო დაერწმუნებინათ მშობლები და კიდევ ერთხელ ხაზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაესვათ განმავითარებელი შეფასების სარგებელის და პოზიტიური გავლენის შესახებ მოსწავლეებზე (აღნიშნული გამოიკვეთა კვლევის შედეგების ერთობლივი განხილვის საფუძველზე) და ემსახურებოდა მშობელთა ცნობიერების ამაღლებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმა; შპს ,,ფარნავაზის“ შინაგანაწესი; შპს ,,ფარნავაზის“ თანამდებობრივი პირების ინსტრუქციები - დებულება; მოსწავლეთა მშობლებთან ურთიერთობის დებულება (სტრატეგია); მშობელთა კითხვარები; გასაუბრება კლასის კურატორებთან და მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ფარნავაზში“ სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების პროცესი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყება და მისი მიზანი სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგი, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და განსაზღვრაა. სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა კითხვარები, რომლებიც განკუთვნილია მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის და მშობლებისთვის (როგორც ცნობილია, კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, მონაცემების დამუშავება და ანალიზი, სასწავლო პროცესის შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა). მაგალითისთვის, 2021-2022 სასწავლო წელს მოსწავლეთათვის შეთავაზებული ანონიმური გამოკითხვა მიზნად ისახავდა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის დაგეგმვას. აღნიშნული კვლევის ანგარიში 2022 წლის მარტით თარიღდება და კონკრეტულ რეკომენდაციებს სთავაზობს მასწავლებლებს, კერძოდ ,, საჭიროა მასწავლებლებმა მეტი ყურადღება მიაქციონ თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების საჭიროებას, კომპლექსური დავალებები ამისთვის კარგ შესასძლებლობას იძლევა. მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, მასწავლებლებმა სწავლა-სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პროცესი მრავალფეროვანი სტრატეგიებითა და აქტივობებით მეტად საინტერესო უნდა გახადონ“. საგნობრივი კათედრები, ასევე არიან ჩართული ზემოაღნიშნულ პროცესებში, რაც დასტურდება კათედრის სხდომის ამსახველი ოქმებით. მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმაც, სწორედ სწავლა-სწავლების ეფექტიანობის გაზრდას, მათ შორის რეკომენდაციების შემუშავებას სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით, შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზს ასახავს. სკოლის შინაგანაწესშიც გაწერილია სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები (მუხლი 31), რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა ცოდნის და უნარ-ჩვევების შეფასებას, გაკვეთილებზე დასწრებას და კათედრებზე შედეგების განხილვას, წინასწარ შემუშავებული კითხვარების შევსებას და კვლევის შედეგების დამუშავებას. ზემოაღნიშნული მუხლი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირებსაც. სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმაც (2021-2022წ.) არეგულირებს, და ვადების მითითებით განსაზღვრავს სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისათვის და მშობლებისათვის განკუთვნილი კითხვარები; საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები; მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმა და ანგარიში; გასაუბრება სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან. სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ფარნავაზი“, საიდენტიფიკაციო კოდი 246952427, მდებარეობს ქალაქ ქობულეთში. სკოლაში მოხვედრა სამი მხრიდან არის შესაძლებელი (ქუჩებიდან - დ. აღმაშენებლის გამზირი N572, დ. აღმაშენებლის გამზირი N572ა, რუსთაველის ქუჩა N333ე). თუმცა, სკოლა იყენებს - რუსთაველის ქუჩა N333ე - მხრიდან არსებულ შესასვლელს. სკოლას იჯარით აქვს აღებული ხუთსართულიანი შენობის ოთხი სართული 2030 წლის 20 ივნისამდე - სულ 869, 60 კვ.მ. ფართის ოდენობის (არსებული 1111, 10 კვ.მ - დან.). შენობის მე-5-ე სართულის (მანსარდული ტიპის) ნაწილში დასაწყობებულია სკოლის ინვენტარი - მერხები და სკამები და დარჩენილი სივრცე დაკეტილია).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის საერთო ფართი - 596 კვ.მ - ია. სკოლის უკანა ეზოში განთავსებულია სპორტული მოედანი.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ქობულეთი - დ. აღმაშენებლის გამზირი N572, დ. აღმაშენებლის გამზირი N572ა, რუსთაველის ქუჩა N333ე
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	20 42 15 130 01/500
კვ.მ.	869,60
მტკიცებულებები/ინდიკატორები	საჯარო რეესტრის ამონაწერი; საიჯარო ხელშეკრულება; სკოლის შენობის აზომვითი ნახაზი; ვიზუალური დათვალიერება (თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით).
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ფარნავაზში“, ამ ეტაპზე, 18 კლასი ფუნქციონირებს. სართულების მიხედვით, საკლასო ოთახების და კაბინეტების განლაგება შემდეგია: I სართულზე მდებარეობს სკოლის ბიბლიოთეკა, ზუსტი და საბუნებისმეტყველო დისციპლინების სწავლებისათვის განკუთვნილი ლაბორატორია, სასადილო, სპორტული დარბაზი და საიზოლაციო ოთახი. აგრეთვე, ადაპტირებული სველი წერტილი. II სართულზე - 6 საკლასო ოთახი, ექთნის და დირექტორის კაბინეტები და 2 სველი წერტილი. III სართულზე - 6 საკლასო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო და 2 სველი წერტილი. IV სართულზე - 6 საკლასო ოთახი (მათ შორის, ერთი 77,10 კვ.მ,) და ორი სველი წერტილი. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა ინდივიდუალური მერხებით და სკამებით, მასწავლებლისათვის განკუთვნილი მაგიდებით და დაფებით. გარდა ამისა, ყველა საკლასო ოთახში არის ე.წ. ,,ჭკვიანი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	(,,Smart,,) - ტელევიზორები, რომლებიც სკოლის ადმინისტრაციის და პედაგოგების განმარტებით, აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტიც, თუმცა, ჯერ არ არის შესული ექსპლუატაციაში და უახლოეს პერიოდში იგეგმება შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე მისი ამოქმედება. საკლასო ოთახებში არსებული მერხების და სკამების რაოდენობა შეადგენს 226. გარდა ამისა, შენობის მე -5 სართულზე დასაწყობებულია 85 მერხი და 120 ერთეული სკამი. <u>**სკოლამ არგუმენტირებული წერილის დანართად წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს სკოლის ლიფტის ექსპლუატაციაში შესვლის ფაქტს.**</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება (თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით და შესაბამისი ფოტომასალა); შენობის აზომვითი ნახაზი; საკლასო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები, შესყიდვის ხელშეკრულებები); ლიფტის ინსპექტირების სერტიფიკატი, მიღება-ჩაბარების აქტი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე მდებარეობს სპორტული დარბაზი, სადაც სპორტულ ინვენტართან ერთად განთავსებულია სავარჯიშო მოწყობილობები (ე.წ. ტრენაჟორები). აქ მოსწავლეებს სთავაზობენ მაგიდის ჩოგბურთს. ასევე, დამონტაჟებულია კრივის ტომარა. სკოლის ეზოში მდებარე სპორტული მოედნის საერთო ფართი 80კვ.მ - შეადგენს. აქ განთავსებულია გოგონებისა და ვაჟებისათვის განკუთვნილი გასახდელები. მოედანზე ვხვდებით კალათბურთის ფარებს, აგრეთვე, ხელბურთის ბადეს. გარდა ამისა, სკოლას შეძენილი აქვს სპორტული ინვენტარი, მათ შორის ბადმინტონი, სავარჯიშო ლეიბი, ფეხბურთის ბადეები და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება (თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით); სპორტული ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ზუსტი და საბუნებისმეტყველო სწავლებისათვის განკუთვნილი ლაბორატორია. ლაბორატორიის ერთი კედელი ეთმობა კედლის კარადებს, სადაც ინახება შესაბამისი ინვენტარი (მულაჟები, კოლბები, სხვადასხვა მოწყობილობები). ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი. გარდა ამისა, შესაძლებელია მისი ბუნებრივი განიავებაც ფანჯრების საშუალებით. ინტერვიუირებისას სკოლის მასწავლებლები აღნიშნავდნენ, რომ დისტანციური სასწავლო პროცესის განხორციელების დროს აქტიურად იყენებდნენ ვირტუალურ ლაბორატორიას. სკოლას შედგენილი აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც ავალდებულებს მომხმარებელს გამოიყენოს ლაბორატორიის სათანადო აღჭურვილობა ინსტრუქციის მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება (თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით); ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; გასაუბრება სკოლის საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა საკლასო ოთახი და კაბინეტი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. სკოლას მიეწოდება ელექტროენერგია (შპს ,,ფარნავაზი“ დარეგისტრირებულია დამოუკიდებელ აბონენტად). გარდა ამისა, სკოლის საკუთრებაშია ელექტრო გენერატორი, რომელიც ძაბვის ვარდნის ან ელ. ენერგიის გათიშვის დროს გამოიყენება. სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. გათბობის რადიატორები განთავსებულია ყველა სართულზე, გარდა IV სართულისა, სადაც იატაკის ელექტრო გათბობა ხორციელდება. გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის, სკოლას შეძენილი აქვს ელექტრო ღუმელები. სკოლა უზრუნველყოფილია წყლის მიწოდებით, სველი წერტილები ყველა სართულზე 2-2 - ია (გარდა პირველი სართულისა, სადაც 1 სველი წერტილია განთავსებული).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება (თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით); ელექტრო გენერატორის და ღუმელების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; კომუნალური გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ბიბლიოთეკა შენობის პირველ სართულზეა განთავსებული. წიგნადი ფონდი 2795 ერთეულით არის წარმოდგენილი, მათ შორისაა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებიც. სკოლას ხელშეკრულება აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაფორმებული ბიბლიოთეკართან, რომლის ფუნქციებში შედის - უზრუნველყოს ბიბლიოთეკის გამართული მუშაობა, ბიბლიოთეკაში არსებული სიახლეების გაცნობის და პოპულარიზაციის მიზნით შესთავაზოს პრეზენტაციები მოსწავლეებს და ა.შ. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, ექსპერტებმა განახორციელეს ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების დათვალიერება. როგორც აღმოჩნდა, ისინი დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები აღრიცხულია როგორც ელექტრონულად, ასევე, სახელმძღვანელოებთან დაკავშირებული მონაცემები დოკუმენტირებულია სპეციალურ ჟურნალში. სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია პორტატული კომპიუტერებიც, რომელთა გამოყენება შეუძლიათ როგორც მოსწავლეებს, ისე სკოლაში დასაქმებულ პედაგოგებს. სკოლა შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ დებულება, რომელიც განსაზღვრავს მუშაობის განრიგს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, ბიბლიოთეკარის და მკითხველების ვალდებულებებს და ა.შ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების N01-227/ო , 29/05/2020წ. საფუძველზე, სკოლას შედგენილი აქვს გზამკვლევი (ე.წ. ,,გაიდლაინი“), რომელიც განსაზღვრავს კოვიდპანდემიის დროს საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის წესს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება (თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით); ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან; წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ბიბლიოთეკის მუშაობის დებულება; კოვიდპანდემიის დროს საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი. პირველ სართულზეა განთავსებული ადაპტირებული სველი წერტილიც. გარდა ამისა, უკვე დასრულებულია ლიფტის დამონტაჟების სამუშაოები და სკოლის დირექციის ინფორმაციით, იგი უახლოეს პერიოდში ხელმისაწვდომი იქნება ყველა მოსწავლისთვის. **<u>სკოლამ არგუმენტირებული წერილის დანართად წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს სკოლის ლიფტის ექსპლუატაციაში შესვლის ფაქტს.</u>**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება (თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით); ხელშეკრულება ლიფტის დამონტაჟების შესახებ; ლიფტის ინსპექტირების სერტიფიკატი, მიღება-ჩაბარების აქტი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც 11 პერსონალური კომპიუტერია განთავსებული. გარდა ამისა, სკოლის სარგებლობაშია 5 პორტატული კომპიუტერი, საბეჭდი მოწყობილობები, პროექტორი, ე.წ ,,ჭკვიანი,, (,,SMART,,) ტელევიზორები, რომლებიც უზრუნველყოფს მომხმარებლის (მასწავლებელი, მოსწავლე) მარტივ და სწრაფ დაკავშირებას ინტერნეტ ქსელთან ე.წ. ,,კაბელის“ გარეშე. სკოლის ვებ. გვერდი - https://farnavazi.edu.ge/ - საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ პირს მოიპოვონ ინფორმაცია სკოლის შესახებ. დეტალურად გაეცნონ სკოლის მარეგულირებელ (საჯარო)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დოკუმენტებს, სკოლის ისტორიას, მოსწავლეთა მიღწევებს, დაგეგმილ და ჩატარებულ ღონისძიებებს - შესაბამისი ფოტომასალით და ა.შ. სკოლა აქტიურობით გამოირჩევა სოციალურ ქსელშიც - https://www.facebook.com/profile.php?id=100016758041052 სკოლას ინტერნეტით უზრუნველყოფს სს ,,სილქნეტი“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება (თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით); კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ხელშეკრულება სს ,,სილქნეტთან“; საგადასახადო ანგარიშფაქტურა სატელეკომუნიკაციო მომსახურების შესახებ; ხელშეკრულება პროვაიდერთან ვებ. გვერდის ჰოსტინგის და დომენის მიწოდების თაობაზე; საგადახდო დავალება - ვებ.გვერდის დიზაინის და ვებ. ჰოსტინგის შესახებ.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. კერძოდ, გაყვანილია წყალმომარაგების „სახანძრო ონკანების“ სისტემა. ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში (თითოეულ სართულზე ორი ცეცხლმაქრი, რომელთა საგარანტიო ვადაა - 2023 წლის 31 მარტი). შიდა სახანძრო წყალგაყვანილობის სისტემა გამართულია, რაც დასტურდება სახანძრო-სამშენებლო კომპანიის შპს ,,ლაშვარდი“ მიერ გაცემული ცნობით N23, 30.03.2022წ. სკოლას შედგენილი აქვს დებულება - ,,სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის, სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმების შესახებ“, რომლის თანახმად, სკოლაში პერსონალისა და მოსწავლეთა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის მიზნით, დირექტორის ბრძანებით, იქმნება საგანგებო სიტუაციების გეგმა და შტაბი, რომლის წევრები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ დაწესებულებაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხო გარემოს შექმნა და შესაძლო საგანგებო სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაცია. გარდა ამისად, სკოლას წარმოდგენილი აქვს უსაფრთხოების დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცია, რომლის მე - 6 მუხლი ეთმობა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული ლიკვიდაციის მექნიზმებს. ხანძრის პირობებში პერსონალის მოქმედების ინსტრუქცია აღწერილია მე - 7 მუხლში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება (თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით); შპს ,,ლაშვარდის“ მიერ გაცემული ცნობა N23, 30.03.2022წ.; სახანძრო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის, სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმები - დებულება; ხელშეკრულება შპს ,, ლაშვარდთან“ (01.05.2022წ.) - სახანძრო უსაფრთხოების შემოწმების მიზნით; უსაფრთხოების დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობაში, ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლის შენობის უკანა მხარეს აქვს საევაკუაციო კიბე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება (თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილი საჭირო ინვენტარით. კერძოდ, სამედიცინო ტახტით, კარადით, რომელშიც მოთავსებულია პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელიც აკონტროლებს და ყოველდღიურად ატარებს მონიტორინგს კლასების, დერეფნების, სასადილოს, სველი წერტილების სისუფთავის შემოწმების მიზნით და ინფორმაციას აწვდის დირექტორს. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია საიზოლაციო ოთახი. სკოლის შესასვლელში ხორციელდება ვიზიტორებისათვის ტემპერატურის შემოწმება. შპს ,,ფარნავაზს შედგენილი აქვს დებულება, რომელიც არეგულირებს სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს. დოკუმენტს დანართის სახით წარმოდგენილი აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების სქემატური გამოსახულება. <u>არგუმენტირებული წერილის დანართად, სკოლამ წარმოადგინა სკოლის ექთნის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ბათუმის სამედიცინო სასწავლებლის მიერ გაცემული დიპლომი).</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება (თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით); სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ,,სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგებისა და მომსახურე პერსონალის, სამედიცინო დახმარების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმები,, - დებულება; პირველიდი სამედიცინო დახმარების სქემატური გამოსახულება; გასაუბრება სკოლის ექთანთან და ადმინისტრაციასთან; სკოლის ექთნის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ვიზიტის მიმდინარეობისას, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე - 4 პუნქტის შესაბამისად, არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. თუმცა, პროცესი უკვე დაწყებული იყო - მიმდინარე წლის 03 მარტს, შპს ,,ფარნავაზმა“ შუამდგომლობის წერილით N4-21, მიმართა ქალაქ ქობულეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს. შეფერხების მიზეზად, სკოლამ შემდეგი გარემოება დაასახელა. კერძოდ, როგორც ცნობილია, ზემოაღნიშნული ბრძანების პირველი მუხლის მე - 4 პუნქტის თანახმად - ,, კერძო სკოლა ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ წესით და დაიცვას იგი ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს შესაბამისი წესი, რომელიც უზრუნველყოფს ამ წესით განსაზღვრული პრინციპების სრულად დაცვასა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას“. შესაბამისად, სკოლამ შეიმუშავა საკუთარი წესი და წერილით N4-131, 17.01.2020წ. მიმართა შპს ,,მანდატურის სამსახურს“ თხოვნით, განხორციელებულიყო სკოლის მიერ განსაზღვრული უსაფრთხოების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადება. თუმცა, შემდგომი განვითარება ამ პროცესებს არ მოჰყოლია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს ,,ფარნავაზის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; წერილი შპს ,,მანდატურის სამსახურს“ - N4-131, 17.01.2020წ.; შუამდგომლობის წერილი ქობულეთის რესურსცენტრს N4-21, 03.03.2022წ. - უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის და პირობების შეთანხმების თაობაზე.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრის დათვალიერება ხორციელდება ვიდეოკამერებით. გარე პერიმეტრი კონტროლდება 4 კამერით (ხელმისაწვდომია როგორც წინა, ისე უკანა ეზოს გამოსახულება). სკოლის შენობის შიგნით 9 ვიდეოკამერაა დამონტაჟებული, კერძოდ, ნაწილი მათგანი აკონტროლებს დერეფნებს (ორივე ბოლოდან), ნაწილი კიბის უჯრედებს. კამერების გამოსახულება ხელმისაწვდომია დირექტორისთვის და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ვიზუალური დათვალიერება (თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით); ვიდეოკამერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,ფარნავაზის“ წესდება 1995 წლით თარიღდება და საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ,,ზოგადი საგანმანათლებლო,,. 2004 წლის 8 სექტემბრის ქობულეთის რაიონული სასამართლოს დადგენილების საფუძველზე, საზოგადოების პარტნიორთა რიგებიდან სუბიექტის გასვლის საფუძველზე, შპს ,,ფარნავაზის“ დირექტორად დაინიშნა მადონა ოქროპირიძე. სკოლის შინაგანაწესი 2021 წლის 4 სექტემბერს არის დამტკიცებული და შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია სკოლის ვებ. გვერდზე და აგრეთვე, გამოკრულია სკოლის პირველ სართულზე, ე.წ. ,,სიახლეების დაფაზე,,.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებზე და მათ მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე, სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე. როგორც შინაგანაწესიდან ირკვევა, სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტიც. შინაგანაწესის 23-ე მუხლში, დეტალურად არის წარმოდგენილია ინფორმაცია მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის და პასუხიმგებლობის სახეების შესახებ. 26-ე მუხლით წარმოდგენილი რეგულაციები ასახავს მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოების წესსაც. სკოლის დებულება დამტკიცებულია პარტნიორთა კრების ოქმის N1, 20.08.2021წ. საფუძველზე და განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებას, სკოლის საქმიანობის წესს და დასაქმებულთა უფლება-მოვალეობებს. საგულისხმოა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს თვითმმართველობა, რომელიც არჩევითი ორგანოა. მისი არჩევის წესი და ფუნქციები, რეგულირდება სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის წესდება; ქობულეთის რაიონული სასამართლოს დადგენილია 08.04.2004წ.; სკოლის შინაგანაწესი; შპს ,,ფარნავაზის“ დებულება; გასაუბრება სკოლის თვითმმართველობის წევრებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2021-2027წწ.) დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის N4, 05.09.2021წ. საფუძველზე. ექვსწლიანი გეგმაში წლების შესაბამისად გაწერილია აქტივობები, მათი შინაარსი და აღწერილობა, შესრულების დრო და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები. როგორც ირკვევა, სკოლის პრიორიტეტების რიცხვში სკოლის ბიბლიოთეკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განვითარებაა. მაგალითისთვის, სკოლის წიგნადი ფონდის შევსება იგეგმება 2023-2024 და 2026-2027 წლებში, ხოლო 2022-2023 წელს ელექტრონული ბიბლიოთეკის კონცეფციის განვითარებაა დაგეგმილი. სკოლის ერთწლიანი გეგმა (2021-2022წწ.) 10 მსხვილი ბლოკისგან შედგება და სკოლის განვითარებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს მოიცავს. დეტალურად არის გაწერილი აქტივობების შინაარსი და პასუხისმგებელი პირები და განხორციელების ვადები. სკოლის დოკუმენტაციაში ვხვდებით ,,SWOT" ანალიზსაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა; სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა; ,,SWOT" ანალიზი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების და კორესპონდენციის აღრიცხვა. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც ვრცელდება სკოლაში წარმოებულ ყველა დოკუმენტზე. ვიზიტის მიმდინარეობისას, სკოლამ გაიზიარა ექსპერტების რეკომენდაცია, რომლის საფუძველზე დაზუსტდა სკოლის დოკუმენტების სახეები (წესში არ იყო მითითებული ინფორმაცია გასული დოკუმენტაციის შესახებ, რაც სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, ტექნიკური ხარვეზით იყო განპირობებული). სკოლა აწარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალებს. კერძოდ, საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალებს. სკოლაში აგრეთვე მიმდინარეობს შრომითი ხელშეკრულებების და სხვადასხვა ხელშეკრულებების აღრიცხვა. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია და დამოწმებულია უფლებამოსილი პირის მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შპს ,,ფარნავაზის" საქმისწარმოების წესი; სარეგისტრაციო ჟურნალები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	სკოლამ წარმოადგინოს სკოლის ექთნის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საფუძველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ, 2022 წლის 21 მარტი - ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“).
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	EMIS-Teachers 06.04.2022წ. შპს „ფარნავაზის“ პერსონალთა მონაცემების მიხედვით, სკოლაში სულ არის 43 თანამშრომელი. მათ შორის 31 მასწავლებელი. 31 მასწავლებლიდან 1 მასწავლებელს აქვს წამყვანის სტატუსი, 15 მასწავლებელს უფიქსირდება უფროსის სტატუსი, 2 მასწავლებელი არის მაძიებლის სტატუსით, 2 მასწავლებელი არის პრაქტიკოსი (უსტატუსო) და ხელშეკრულებაში მითითებული აქვთ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რომ მათთან შრომითი ურთიერთობა გაგრძელდება კონკურსით სპეციალისტის შერჩევამდე. აღსანიშნავია რომ 2 მასწავლებელს გ. დ. (ქართული ენა და ლიტერატურა) და თ. გ. (ინგლისური ენა) პირადი საქმის დოკუმენტაციით, წარმოდგენილი დიპლომით და საგნობრივი გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ცნობით კანონით უნდა ჰქონდეთ უფროსი მასწავლებლის სტატუსი, მაგრამ სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემაში არ არის ასახული სტატუსი, ხოლო დანარჩენი (სულ 9) მასწავლებლები შერჩეულნი არიან კონკურსის წესით იმ პირობით, რომ 2 წლის ვადაში უნდა ჩააბაროს საგნობრივი გამოცდა და გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო დისტანციური კურსი. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივი ბადით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლაში დასაქმებული ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის საქმიანობა შეესაბამება სკოლის მისიით განსაზღვრულ მიზნებს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლის საშტატო განრიგის თანახმად, სკოლაში არის : • დირექტორი 1; • ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ხელმძღვანელი 1; • კოორდინატორი სასწავლო დარგში 1 • კოორდინატორი აღრიცხვიანობის დარგში 1; • კოორდინატორი აღმზრდელობით დარგში 1; • კურატორი/დამრიგებელი 10; • ბუღალტერი 1; • საქმისმწარმოებელი 1; • ბიბლიოთეკარი 1; • მნე 1; • შრომის უსაფრთხოების/სკოლაში უსაფრთხოების პასუხისმგებელი პირი 1; • ექთანი 1; • დამლაგებელი 1; • იურისტი 1.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღსანიშნავია, რომ სკოლის SWOT ანალიზიდან, სტრატეგიული განვითარების გეგმიდან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუდან გამომდინარე, სკოლას სურვილი აქვს ჰყავდეს ფსიქოლოგიც, ამ მხრივ მიმდინარეობს მუშაობა. თუმცა, სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე, იყო შემთხვევები ფსიქოლოგის მოწვევის. **როგორც სკოლის არგუმენტირებული წერილიდან ირკვევა, 2022-2023 სასწავლო წლისთვის, პედაგოგების და ფსიქოლოგის შერჩევის მიზნით გამოცხადებულია კონკურსი სკოლების ვაკანსიების გვერდზე, რაც დადასტურდა ექსპერტების მიერ - http://teacherjobs.ge/ - ის დათვალიერებისას.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	საათობრივი ბადე; საშტატო განრიგი; ხელშეკრულებები; EMIS-Teachers 06.04.2022 - სკოლის პერსონალთა მონაცემები; სკოლის ,,SWOT,, ანალიზი; სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა; ბრძანება N2/1, 13.04.2022წ.-ვაკანსიების გამოცხადების თაობაზე. ინტერვიუები სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან, დირექციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	31
მოწვეული/მაძიებელი	2 (მაძიებელი)
პრაქტიკოსი მასწავლებლი	13 (უსტატუსო)
უფროსი მასწავლებლი	15
წამყვანი მასწავლებლი	1
მენტორის სტატუსი	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ფარნავაზში“ არის 31 მასწავლებელი ასახული სკოლების მართვის საინფორმაციოა მონაცემთა ბაზაში, მათგან 1 არის წამყვანი, 15 უფროსი, 2 მასწავლებელს დოკუმენტაციით ეკუთვნის უფროსის სტატუსი, მაგრამ ბაზაში არ არის ასახული (გ.დ. და თ.გ.) 2 მაძიებელი, 2 უსტატუსო. დანარჩენი (სულ 9) აყვანილია იმ პირობით, რომ 2 წლის ვადაში უნდა ჩააბაროს საგნობრივი გამოცდა და გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო დისტანციური კურსი. მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, დიპლომი, სერტიფიკატი/ან ცნობა გამოცდის ჩაბარების შესახებ, ასევე მასწავლებელთა CV. სკოლაში არის 2 უსტატუსო მასწავლებელი, მათთან გაფორმებულია დროებითი ხელშეკრულება ახალი კადრის აყვანამდე. სკოლამ დოკუმენტაციაში წარმოადგინა სკოლის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის მასალები, დირექტორის ბრძანება # 1/66, 25.12.2021წ. სკოლის ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების, ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ, სკოლის დირექტორის ბრძანება #1/1, 14.01.2022 წ. საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ და ამ კომისიის ოქმები. მოცემული დოკუმენტაციიდან და სკოლის დირექციასთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რადგან ვერ მოხერხდა კვალიფიციური კადრებით ვაკანსიის შევსება, პრაქტიკოს მასწავლებლებთან გაფორმდა ხელშეკრულება ვაკანსიის შევსებამდე. სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები ასევე, დირექტორის მიერ დამტკიცებულია მათი თანამდებობრივი ინსტრუქციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის ექთანთან, ბიბლიოთეკართან და სხვა ტექნიკურ პერსონალთან ინტერვიუს საფუძველზე, შესაბამისი ფართის მოწყობის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზეც იკვეთება, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **<u>არგუმენტირებული წერილის დანართად, სკოლამ წარმოადგინა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნილი კორესპონდენციას, სკოლის ორი პედაგოგისათვის (გ.დ. და თ.გ.) სტატუსის მინიჭების თაობაზე, ხოლო იმ 9 (ცხრა) მასწავლებელთა დაკავშირებით, რომლებიც დასაქმებულნი არიან იმ პირობით, რომ 2 წლის ვადაში ჩააბარებენ საგნობრივ გამოცდას, სკოლამ გადმოაგზავნა 8 მასწავლებლის გამოცდაზე დარეგისტრირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.</u>**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	პირადი საქმეები; ხელშეკრულებები; ინტერვიუ მასწავლებლებთან და სკოლის პერსონალთან; სკოლის წერილები სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს - შესაბამისი სტატუსის მინიჭების თაობაზე; საგნობრივ გამოცდებზე დარეგისტრირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შინაგანაწესში მკაფიოდ არის გაწერილი თანამშრომელთა მიღებისა და გათავისუფლების წესები, წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა, და ეს ყველაფერი შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კანონმდებლობასთან, ცნობილია ყველა თანამშრომლისთვის და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. შინაგანაწესის 30-ე მუხლში დეტალურად და კანონთან შესაბამისად გაწერილია თანამშრომელთა შერჩევის, მიღების და გათავისუფლების წესები. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა დამოუკიდებელი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მასწავლებელთა კონკურსის ჩატარების წესს, რომელიც განსაზღვრავს კონკურსის ეტაპებს, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს .
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის შინაგანაწესი; მასწავლებელთა კონკურსის ჩატარების წესი; ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ხელშეკრულებები წარმოდგენილია სამ ნაწილად: სკოლის მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, ადმინისტრაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება დანომრილია სათანადო თარიღის მითითებით და ხელმოწერილია ორმხრივად. ხელშეკრულებები კანონთან შესაბამისობაშია. აღსანიშნავია, რომ სკოლას ყავს იურისტი, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულებების სისწორეს. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათთვის ნაცნობია ხელშეკრულების პირობები. ხელშეკრულებები რეგისტრირებულია შესაბამის ჟურნალში საქმისწარმოების წესის თანახმად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები; სკოლის თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საქმისწარმოების წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ფარნავაზს“ წარმოდგენილი აქვს სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, სადაც ნათლად არის წარმოდგენილი ჯგუფის მიზნები, სამოქმედო პრინციპები, შემადგენლობა და წევრთა მოვალეობები, მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მონიტორინგი და განვითარების გზების დაგეგმვა. მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა, კონსულტირება, ტრენინგები, ვებინარები, გამოცდილების ურთიერთგაზიარება ასახულია სკოლის სტრატეგიულ გრძელვადიან და ერთწლიან გეგმაშიც. შპს “ფარნავაზის“ ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი შექმნილია სკოლის დირექტორის ბრძანებით #1/37, (01.09.21). დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ამ ჯგუფის ხელმძღვანელის 2021-2022 სასწავლო წლის სამუშაო გეგმა, გაწერილი აქტივობებით და შესაბამისი ვადებით. ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ 2021-2022 სასწავლო წლის ოქტომბერ-ნოემბერში მუშაობის მონიტორინგის ანგარიში ასახულია წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. გაწეული მუშაობის ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი მიღწევები, გამოწვევები და პრობლემების დაძლევის გზების დაგეგმვა. სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის დახვეწა და გაუმჯობესება რომ პრიორიტეტია სკოლისთვის ჩანს მისი ,,SWOT,, ანალიზიდანაც. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესის 36-მუხლში. შპს „ფარნავაზი“ პედაგოგთა განვითარების მიზნით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს: შალვა ამონაშვილის აკადემიაში ტრენინგებზე ესწრებიან მასწავლებლები გამოცდილების გაზიარების,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ღია გაკვეთილზე დასწრების მიზნით; თბილისის პირველ ექსპერიმენტალურ სკოლაში მასწავლებელთა მივლინება, გამოცდილების გაზიარების, ღია გაკვეთილზე და კათედრის შეხვედრებზე დასწრების მიზნით, შპს „განათლების ცენტრის“ ტრენინგები მასწავლებლებისთვის, შპს „ბიზნესი და სისტემა“- ტრენინგი, შეგრძნების ფსიქოლოგია, ყურადღება, ყურადღების პათოლოგია, მეხსიერება, მეხსიერების პათოლოგია, უნარშეზღუდულობა და ა.შ. პარტნიორული შეთანხმება ა.(ა.) ი.პ აისეკ საქართველო-სთან- არა ფორმალური საგანმანათლებლო შესაძლებლობების გამრავალფეროვნება, კონკურენტუნარიანი ლიდერების აღზრდა...ხორციელდება 2020 წლიდან დღემდე. სკოლას დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა სერტიფიკატები და ცნობები, რაც ადასტურებს მათ ჩართულობას კვალიფიკაციის ასამაღლებელ აქტივობებში. სკოლის შინაგანაწესში (მუხლი 36) გაწერილია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. ცალკე დოკუმენტი, ადმინისტრაციული და ტექ. პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმების შესახებ, სკოლას არ წარმოუდგენია. **<u>სკოლამ წარმოადგინა საკადრო პოლიტიკის მართვის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის განვითარების მექანიზმებს, რომელიც თარიღდება 2021 წლის 01 სექტემბრით.</u>**
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან; პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; სკოლის შინაგანაწესი; სკოლის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული და ერთწლიანი გეგმები; სკოლის SWOT ანალიზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხარისხის მართვისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის სასკოლო ბრძანება #1/37, (01.09.21); ხარისხის განვითარების ჯგუფის 2021-22 ს/წ სამუშაო გეგმა; ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მონიტორინგის ანგარიში (2021 წლის ოქტომბერ-ნოემბერი); სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერტიფიკატები და ცნობები; საკადრო პოლიტიკის მართვის დოკუმენტი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს „ფარნავაზში“ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ჯანსაღ, მოწესრიგებულ და უსაფრთხო გარემოში, რაც მეტყველებს ორგანიზაციულ კულტურაზე. სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის, სასკოლო პერსონალის და მშობლებისთვის, რაც ხელს უწყობს მათი შესაძლებლობების რეალიზებას. ეს გარემოებები გამოიკვეთა სკოლის შენობის ვიზუალურად დათვალიერებისას, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, სკოლის პერსონალთან და მშობლებთან გასაუბრებისას. მათთან საუბარში გამოიკვეთა, რომ ისინი ერთ დიდ ოჯახში გრძნობენ თავს და მაქსიმალური ხელშეწყობა აქვთ თვითრეალიზაციისთვის. ინტერვიუებიდან და დოკუმენტაციით გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, სხვადასხვა კლუბები და წრეები, აქტიურად ფუნქციონირებს კათედრები და მშობელთა ჩართულობაც მაღალია სასკოლო ცხოვრებაში. მშობლებს ინფორმაცია მათი შვილის და სასკოლო ცხოვრების შესახებ მიეწოდებათ სისტემატურად და მათთვის მოსახერხებელი ფორმით, ელექტრონულად ან პირისპირ. ასევე, სკოლის ვებ. გვერდზე ყველას შეუძლია გაეცნოს საჭირო ინფორმაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინტერვიუებიდან და დოკუმენტაციიდან გამოიკვეთა, რომ სკოლა დიდ ძალისხმევას დებს ძალადობის და დისციპლინარული გადაცდომების პრევენციის მიზნით. ტარდება შეხვედრები, ღონისძიებები, კურატორის/დამრიგებლის საათი და სხვა. მშობლები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ სკოლა იმსახურებდა ნდობას უსაფრთხო გარემოს თვალსაზრისით. სკოლაში ხელი ეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, სკოლას აქვს საკმაოდ კეთილმოწყობილი გარე სპორტული მოედანი და შიდა დარბაზი აღჭურვილი სპორტული ინვენტარით, ასევე არის კეთილმოწყობილი სასადილო. დერეფნები და საკლასო ოთახები აღჭურვილია მოვლილი და მოსახერხებელი ინვენტარით, დერეფნებში განლაგებულია მცენარეები და სკოლის კედლებზეც განთავსებულია საინფორმაციო დაფები და მოსწავლეთა ნამუშევრები. დაცულია უსაფრთხოების წესები, სახანძრო ინვენტარი, საევაკუაციო გემები და სკოლაში არსებობს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოებას, ასევე პრევენციის მიზნით ატარებს შესაბამის შეხვედრებს და საუბრებს. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი და სათანადოდ აღჭურვილი ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამედიცინო ოთახი, პანდუსი, მოსაცდელი ოთახი, კეთილმოწყობილი, სასიამოვნო და უსაფრო ეზო, ვიდეოკამერები. მთლიანობაში სასკოლო გარემო იწვევს უსაფრთხო, სასიამოვნო და საქმიანი გარემოს განცდას. მოსწავლეებს საგაკვეთილო პროცესის შემდგომ საშუალება ეძლევათ იმუშაონ მათთვის საინტერესო კლუბებსა და წრეებში. მასწავლებელთა პორტფოლიოების შინაარსიდან, სასკოლო სასწავლო გეგმიდან, კათედრების ოქმებიდან გამომდინარე, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით ჩანს, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ ინტენსიურად და უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას, რაც ქმნის კეთილგანწყობილ და საქმიან გარემოს. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში არის მოსწავლეების მხრიდან საკუთარი თანასკოლელების მხარდაჭერის პრაქტიკა - უფროსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კლასის წარჩინებული მოსწავლეები ეხმარებიან სწავლაში უმცროსკლასელებს. სკოლაში ხშირად ტარდება საინტერესო კლასგარეშე ღონისძიებები და საქველმოქმედო აქციები, რაც ხელს უწყობს, ტოლერანტობის და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ხელმისაწვდომ ადგილას, შინაგანაწესს იცნობს ყველა მოსწავლე და სკოლის თანამშრომელი, ასევე მშობლებიც, ყოველივე ეს უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნას. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დებულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ინტერვიუები მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან, სკოლის პერსონალთან; სკოლის შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმა; ინფრასტრუქტურის და სერვისების დოკუმენტაცია; სკოლის ვიზუალური დათვალიერება; მასწავლებელთა პორტფოლიო; სასკოლო წრეები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	• სკოლის 2 (ორი) უსტატუსო მასწავლებელთან დაკავშირებით, რომლებსაც დოკუმენტაციის საფუძველზე უდასტურდება უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობა, მიემართოს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს - შესაბამისი სტატუსის მინიჭების მოთხოვნით; • სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია შინაგანაწესის გარდა, ცალკე დოკუმენტშიც გაიწეროს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარების დებულება/გეგმა. • სკოლამ წარმოადგინოს სკოლის ექთნის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საფუძველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ, 2022 წლის 21 მარტი - ,, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“).
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი: 934 (ცხრაასოცდათოთხმეტი) გვერდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

....

(შევსების ადგილი) ქ. თბილისი
თარიღი 27.04.2022წ.
გვერდების რაოდენობა: 50 (ორმოცდაათი) გვერდი;

50

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.